*„ხელნაწერი სულიერი ცნებაა, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ხელ საწყოს საშუალებით იქმნება“.*

ევკლიდე

ძნელია არ დავეთანხმოთ „გეომეტრიის მამად“ აღიარებულ ალექსანდრიელ მოაზროვნეს - კალიგრაფია ნამდვილად არის სულის დიზაინი, განსაკუთრებით ხელოვნებასა და არქიტექტურაში.

ერთი შეხედვით, კალიგრაფია და არქიტექტურა ორი განსხვავებული ხელოვნების ფორმაა, თუმცაღა კალიგრაფია, როგორც ფიქრის, იდეის გამოხატვის უმაღლესი ფორმა, სივრცისა და ხაზების კომპოზიციური შერწყმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არაერთ ცივილიზაციაში იქცა არქიტექტურულ ფორმებად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის არაბული (ისლამური არქიტექტურა), ჩინური და დასავლური ცივილიზაციები.

XXI საუკუნეში კალიგრაფია იქცა ხელოვნებისა და დიზაინის არაერთი მიმართულების შთაგონების წყაროდ. ალბათ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კალიგრაფიული ტრადიცია აქვს, ამ ხელოვნების შტრიხები, მიგნებები და ესთეტიკა თანამედროვე არქიტექტურის სრულიად უნიკალურ მიგნებად იქცეს!

თქვენთან, ახალი თაობის არქიტექტორებთან ერთად სრულიად ახალი მიმართულება შეიძლება დაიბადოს არქიტექტურისა და დიზაინის სამყაროში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია უნიკალურ პროექტსა და კონკურსს გთავაზობთ:

გადადით ბმულზე და გახდით პროექტის მონაწილე!

https://forms.gle/DUoEQZcg2KzidwUH9

პროექტს წარმოგიდგენთ

საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და
დიზაინის ფაკულტეტი

მონაწილეობის მისაღებად
გაიარეთ რეგისტრაცია
4 მაისამდე

# არქიგრაფია

## კალიგრაფიის ხელოვნება არქიტექტურაში

## საავტორო მასტერკლასები

**8 მაისი** — გიო გორგიაშვილი
**10 მაისი** — გიორგი სისაური
**11 მაისი** — ლეილა ბაღბაია
**17 მაისი** — დავით მაისურაძე

## კალიგრაფიის კონკურსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
1922 წლიდან

საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია
GEORGIAN CALLIGRAPHERS ASSOCIATION

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი